# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 170

„25" ივნისი 2019 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში (ნაკვეთი 20/025), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30 205 კვ. მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.020.025) შპს „ვარკეთილი დეველოპმენთისათვის" (ს/ნ: 405323699) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და ამავე კომპანიასთან გასაფორმებელი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ" იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი, 118[1] მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის'' პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების, მე-3 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად შპს „ვარკეთილი დეველოპმენთის" (ს/კ 405323699) გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N19.417.543 განკარგულების, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის N19.95.149 განკარგულებით განსაზღვრული ინტერესთა გამოხატვის პირობების 6.1., 7.3.1 და 7.3.2 პუნქტების, ასევე, ,, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დეველოპმენთს" (ს/კ 405323699) შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ" ხელშეკრულების დადების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის N19.578.744 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ვარკეთილი დიველოფმენთს" (ს/კ 405323699) შორის „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა - ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით, უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის იმპლემენტაციის შესახებ" ხელშეკრულების დადების თაობაზე'' '' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 22 მაისის N19.578.744 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში (ნაკვეთი 20/025), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30 205 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.025), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, შპს „ვარკეთილი დიველოფმენთისთვის"_(ს/ნ: 405323699) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე